სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/94

ქ. თბილისი 6 ივნისი 2025 წ.

სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი „ბიოეკოსერთის“ ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 6 ივნისის №01-05-02/14 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შეიქმნას სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი **„ბიოეკოსერთის“ ცენტრი** და დამტკიცდეს მისი დებულება (დანართი);
2. საკითხი დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი). საკითხს გაიტანს სტუ-ის ვიცე-რექტორი, ქალბატონი თამარ ლომინაძე;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, № 64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**